ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2187243

ნომერი: AR1340405

თარიღი : 08.09.2015

გაცემის თარიღი : 24.09.2015

გაცნობის თარიღი : 11.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 11 , (ნაკვ. 03/100) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 / ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N 38 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზ ჯალიაშვილი პ/ნ 35001018394
- რუსთავი მშენებელთა ქ. კორ. 4 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შპს ისეკო კოდი: 406027838

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 08 სექტემბერს #AR1340405 განცხადებით მომართა თამაზ ჯალიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დამატება, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 10 ნოემბერს #01.19.34.003.057 (ფართობი 27600 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სასაწყობო და საწარმოო შენობა–ნაგებობების (არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია) განთავსების მიზნით დამტკიცებულ იქნა #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 2013 წლის 23 სექტემბრის #911008 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა: 4154.00 კვ.მ. და 24612.00 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდებად მიეთითა: #01.19.34.003.134 და #01.19.34.003.133.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ახალი საპროექტო ობიექტის – #01.19.33.003.154 საკადასტრო ერთეულზე შენობა #11/1 და შენობა #12/1-ს რეკონსტრუქციის დამატებას. ამასთან, განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერები (განცხადების რეგისტრაციის: #882015443962, მომზადების თარიღი: 05/09/2015 წ. ს/კ: #01.19.34.003.154), (განცხადების რეგისტრაციის: #882015136419, მომზადების თარიღი: 27/03/2015 წ. ს/კ: #01.19.34.003.152) და საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობები, საკადასტრო კოდები და მიწის ნაკვეთის კონფიგურაციები (საკადასტრო კოდი: #01.19.34.003.154, ფართობი – 8437.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: #01.19.34.003.152, ფართობი – 23457.00 კვ.მ.), რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია – სპეციალური ზონის და საცხოვრებელი ზონა 6–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა და შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ობიექტის დამატება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა შეიტანოს ცვლილება 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან, საკადასტრო ერთეულის, ფართობის და კონფიგურაციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითოს - 8437.00 კვ.მ. და 23457.00 კვ.მ, საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს - #01.19.34.003.154 და #01.19.34.003.152;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერები (განცხადების რეგისტრაციის: #882015443962, მომზადების თარიღი: 05/09/2015 წ.), (განცხადების რეგისტრაციის: #882015136419, მომზადების თარიღი: 27/03/2015 წ.) და საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საპროექტო ობიექტი – #01.19.33.003.154 საკადასტრო ერთეულზე შენობა #11/1 და შენობა #12/1-ს რეკონსტრუქცია;
4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:
   - რეკონსტრუქცია განხორციელდეს სპეციალური ზონა 1-ის მოქმედების არეალში ახალი დანართის შესაბამისად;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.